

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო



აააი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

პედაგოგიური ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა

განათლების მეცნიერებები

ქუთაისი
2009

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება - „განათლების მეცნიერებები“

- მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - დოქტორი განათლების მეცნიერებებში
- პროგრამა განხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე პედაგოგიკისა და სწავლების მეთოდოლოგიათა დეპარტამენტში
- სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი – თამაზ მორალიშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სწავლების მეთოდოლოგიათა დეპარტამენტის სრული პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

პროგრამის ანალოგი

განათლების დოქტორის ანალოგიური პროგრამების ტიპები (მიღების წესის, აუცილებელი წინაპირობების, პროგრამის ხანგრძლივობისა და სტრუქტურის, განათლების ფორმატისა და დაცვის მიხედვით) გვხვდება აშშ-ს დიდი ბრიტანეთის, ბალტიისპირეთისა და სხვა ქვეყნების მთელ რიგ უნივერსიტეტებში. ინტერნეტში მსგავსი პროგრამების დიდი რაოდენობაა, ხშირად განსხვავებული ტერმინოლოგიით. ასეთია: სან დიეგოს, კალიფორნიის, კოლორადოს, არლინგტონის (ვირჯინია), ბლუმინგტონის (ინდიანა), ბალის, მანჩესტერისა და სხვა უნივერსიტეტები. საქართველოში ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

მიზანი:

თანამედროვე განათლება, ძირითადად, იქცა კულტურათაშორისი და შიდაკულტურული დიალოგის გარემოდ, ლებულობს რა უფრო დიფერენცირებულ და პოლივარიანტულ ხასიათს, აუცილებელია განათლების ძირითადი მიზნების, პროცესების, პედაგოგიური პარადიგმის ახლებური მიდგომა და კვლევა.

პროგრამის მიზანია დოქტორანტებისათვის პედაგოგიკაში შემოქმედებითი, ინოვაციური იდეების გენერაცია, კრიტიკული იდეებისა და ჰიპოთეზების შექმნა პედაგოგიკის სფეროში, ამ იდეების შეფასებისა და განხორციელებისათვის საჭირო ანალიტიკური უნარ-ჩვევების

გამომუშავება, მათი სხვებისათვის გაზიარება, სწავლებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიების დაუფლება.

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა:

- განათლების რეფორმის პარადიგმის შესატყვისი ეფექტიანი სწავლების ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება
- სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომების დანერგვისათვის საჭირო მენეჯმენტის განსაზღვრა
- ეფექტიანი სწავლებისა და სწავლის განსაზღვრა და მათი კავშირის დადგენა თანამედროვე თეორიებსა და მეთოდოლოგიებთან
- სასწავლო პროცესის მონიტორინგის, შეფასებისა და შემოწმებისათვის საჭირო სტრატეგიების კვლევა და პრაქტიკული დანერგვა
- საგანმანათლებლო რესურსების სრულყოფის, განვითარებისათვის საჭირო სტრატეგიების კვლევა და პრაქტიკული დანერგვა
- სკოლისა და ოჯახის როლის კვლევა და პრაქტიკული დანერგვა პიროვნების ჰარმონიულად ჩამოყალიბება-განვითარების პროცესში
- თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიების კვლევა და დანერგვა
- ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნა და დანერგვა. მისი ფილოსოფიური წანამდგვრების კვლევა
- მომზადდეს განათლების სფეროს აკადემიური ლიდერები, რომელთაც შესწევთ უნარი, შექმნან ახალი ცოდნა, კრიტიკულად გააანალიზონ დაგროვილი იდეები, პასუხისმგებლობით მოეკიდნონ ამ ინფორმაციის ტრანსფორმაციასა და გავრცელებას პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით;
- მომზადდეს მსოფლიოს თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციის მქონე კადრები განათლების მეცნიერებებში;
- მომზადდეს მკვლევარები განათლების (პედაგოგიკის) და მათემატიკის სწავლების მეთოდის დარგებში.

შედეგი: დოქტორანტურის კურსდამთავრებულს ექნება:

1. ცოდნა

- განათლების (პედაგოგიკური) მეცნიერებების;

- განათლების (პედაგოგიკის) კურსის მეცნიერული საფუძვლებისა და თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების;
- სწავლებისა და აღზრდის ფსიქოლოგიის;
- პედაგოგიური კვლევის თანამედროვე მეთოდების;
- მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემის;
- ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავების თანამედროვე მეთოდების და სხვ.

2. უნარი:

- შემოქმედებითად შექმნან ახალი ცოდნა კვლევისა და ძიების შედეგად;
- კრიტიკულად გააანალიზონ დაგროვილი იდეები;
- დამოუკიდებლად წარმართონ პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიური კვლევები;
- შეადარონ, გააკრიტიკონ და დაიცვან მოპოვებული ცოდნა;
- შეეძლოთ გადამწყვეტი კითხვების დასმა. ჩამოაყალიბონ კრიტიკული კითხვები ახალი ცოდნის ძიებაში;
- გაიგონ და გაითავისონ განათლების ისტორია და მისი ძირითადი იდეები;
- შეინარჩუნონ ცოდნის, დარგის განვითარების უწყვეტობა და სასიცოცხლო უნარიანობა;
- ითანამშრომლონ სხვა დარგის წარმომადგენლებთან ინტერდისციპლინარული კვლევის დროს;
- მოახდინონ მოპოვებული ცოდნის ეფექტური და გასაგები ფორმით პრეზენტაცია. ფლობდნენ პრეზენტაციის ტექნიკას;
- გადასცენ მიღებული ცოდნა მომავალ თაობას;
- შეეძლოთ კომუნიკაცია ნებისმიერ დონეზე, როგორც პროფესიულ, ისე ფართო საზოგადოებასთან;
- ესმოდეთ საკუთარი ცოდნის პრაქტიკული გამოყენების ასპექტები;
- შეეძლოთ საკუთარი დასკვნების საჯარო წარდგენა და დასაბუთება;
- შეეძლოთ ცოდნისა და უნარ-ჩვევების სამი ძირითადი ასპექტის განხორციელება:
 1. ცოდნისა და უნარ-ჩვევების გენერაციის;
 2. ცოდნისა და უნარ-ჩვევების კონსერვაციის;
 3. ცოდნისა და უნარ-ჩვევების ტრანსფორმაციის.

დასაქმების სფეროები:

- უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები
- სახელისუფლებო და კერძო სტრუქტურები

- **სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები**

განათლების სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს საერთო საუნივერსიტეტო წინაპირობებს, აგრეთვე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების მოთხოვნებს (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 27 დეკემბრის სხდომის გადაწყვეტილება ოქმი №8). მას უნდა გააჩნდეს მაგისტრის აკადემიური ხარისხი ან მაგისტრთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი. გარდა ამისა, სასურველია მაგისტრის აკადემიური ხარისხი განათლების მეცნიერებების ნებისმიერ სპეციალობაში. თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილე და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სტაჟირება გავლილ, აგრეთვე პედაგოგის სამუშაო გამოცდილების მქონე პიროვნებებს (შესაბამისი დოკუმენტაცია სხვა საბუთებთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი). პროგრამაზე ჩაბარების უფლება აქვთ როგორც მიმდინარე, ისე გასული წლების მაგისტრატურისა და ერთსაფეხურიანი სწავლების კურსდამთავრებულებს. სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მსურველი უნდა ფლობდეს კომპიუტერზე მუშაობის უნარ-ჩვევებს, ასევე აუცილებელია უცხო ენის (ინგლისურის, გერმანულის ან ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე. მისაღები გამოცდები ჩატარდება უცხო ენასა და სპეციალობაში წერითი ფორმით. გამოცდებზე შეფასების ჯამური ქულაა 100. თუ კონკურსანტი დააგროვებს ქულათა საერთო რაოდენობის 90-ზე მეტს, იგი შეფასდება ნიშნით “ფრიადი”, 76-დან 90-ის ჩათვლით – “კარგი”, 51-დან 75-ის ჩათვლით – “დამაკმაყოფილებელი”, 51-ზე ნაკლები „არადამაკმაყოფილებელი“.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის „განათლების მეცნიერებების“ სადოქტორო პროგრამაზე მიღება განხორციელდება პედაგოგიკის და მათემატიკის სწავლების მეთოდის მიმართულებით.

- **სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა:**

- **სასწავლო კომპონენტი**

სწავლის ხანგრძლივობა არის არანაკლებ სამი და არაუმეტეს ხუთი წელი და ითვალისწინებს **ECTS 180** კრედიტის ათვისებას, სადაც

- სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი;
- კვლევითი კომპონენტი - 120 კრედიტი.

წინამდებარე სადოქტორო პროგრამის სტრუქტურის შედგენისას გათვალისწინებულია როგორც მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში განათლების დოქტორის მომზადების სპეციფიკა, აგრეთვე ის გამოცდილება, რაც დაგროვდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის სწავლების მეთოდის კათედრაზე ასპირანტებთან და სამეცნიერო ხარისხის მაძიებლებთან მუშაობის პროცესში (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1996-2005 წლებში არსებობდა ასპირანტურა მათემატიკის სწავლების მეთოდის სპეციალობით).

ასევე გათვალისწინებულია საერთო საუნივერსიტეტო მოთხოვნები (სადოქტორო პროგრამების წარმოდგენის ინსტრუქცია, აგრეთვე ინფორმაცია სადოქტორო პროგრამების შესახებ) და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება.

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამით განათლების დოქტორის მომზადების ნორმატიული ვადაა 3 წელი (მაქსიმალური ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 5 წელი). დოქტორის აკადემიური ხარისხის მისაღებად დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 180 კრედიტი. აქედან სასწავლო კომპონენტი შეადგენს კრედიტების საერთო რაოდენობის 1/3 (60 კრედიტი), დანარჩენი 2/3 (120 კრედიტი) ეთმობა კვლევას.

სასწავლო კომპონენტი არ გულისხმობს ტრადიციული ლექციების ჩატარებას. მუშაობა წარიმართება ძირითადად სემინარების ფორმატით, სადაც დოქტორანტებს ექნებათ თემების დამოუკიდებლად წარმოდგენის, დისკუსიის, აზრთა გაცვლის საშუალება. ლექტორი ამ შემთხვევაში კარგავს მენტორის, უფროსის როლს და დისკუსიის მოდერატორის ფუნქციებს ასრულებს. ამით დოქტორანტებს ექნებათ პედაგოგიური კვლევის თანამედროვე მეთოდების უკეთ ათვისების საშუალება.

სასწავლო კომპონენტი გულისხმობს ძირითადი მეცნიერული უნარების განვითარებას, პედაგოგიკაში, მეთოდოლოგიასა და მეთოდულ მიღებული ცოდნის გადრმავეებას, ტრანსფერირებადი უნარების განვითარებას, სწავლების თანამედროვე მეთოდების შესწავლას და დოქტორანტის ჩართვას სასწავლო პროცესში.

დოქტორანტი ვალდებულია ასისტირება გაუწიოს სასწავლო პროცესში სამეცნიერო ხელმძღვანელს (ხელმძღვანელებს) ან შესაბამისი დარგის პროფესორს (პროფესორებს). მისი მინიმალური დატვირთვა თითოეული სასწავლო წლის განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ 30 აკადემიური საათი.

დოქტორანტურაში სწავლის (როგორც სასწავლო, ისე კვლევითი კომპონენტის) აუცილებელი ნაწილია დოქტორანტის კოლოქვიუმი. კოლოქვიუმზე ხდება დოქტორანტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების პრეზენტაცია, მიღწევებისა და პრობლემების განხილვა მაპროფილებელ დეპარტამენტში. დოქტორანტი ვალდებულია წელიწადში ორჯერ მაინც წარსდგეს კოლოქვიუმზე მოხსენებით.

კვლევითი კომპონენტი საბოლოო ჯამში სადისერტაციო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას გულისხმობს. ეს ნაშრომი უნდა იქნეს მონოგრაფიული ხასიათის დასრულებული სამეცნიერო გამოკვლევა, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცავდეს მეცნიერულ სიახლეს და რომელშიც გადაწყვეტილი უნდა იქნეს მნიშვნელოვანი პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიური საკითხი.

- **სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა**

სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის პედაგოგიკისა და სწავლების მეთოდოლოგია დეპარტამენტებში, აგრეთვე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის და ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკების ბაზაზე. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციულ დეპარტამენტში, რომელიც აღჭურვილია უახლესი კომპიუტერული ტექნიკით და ჩართულია ინტერნეტში, პედაგოგიკისა და სწავლების მეთოდოლოგია დეპარტამენტებში, სადაც დაგეგმილია კვლევა, არსებობს კომპიუტერები და ინტერნეტში მუშაობის შესაძლებლობა. პროგრამაში მონაწილე ყველა პროფესორს აქვს თემატიკის შესაბამისი უახლესი ლიტერატურა, ამიტომ დოქტორანტი უზრუნველყოფილი იქნება სწავლებისა და კვლევისათვის აუცილებელი ლიტერატურით.

დოქტორანტის მომზადებაში უმნიშვნელოვანესია სადისერტაციო ნაშრომი. დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს განათლების მეცნიერების განვითარებაში. სადისერტაციო ნაშრომის ზღვრული მოცულობაა 120-150 გვერდი (არაუმეტეს

300 000 ასო-ნიშანი). დისერტანტს დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ სამი სამეცნიერო პუბლიკაცია რეცენზირებად ჟურნალებში, რომელთაგან ორს გავლილი უნდა ჰქონდეს საერთაშორისო ექსპერტიზა, დისერტაციის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შრომები სარეცენზიოდ გადაეცეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ადგილობრივ ანონიმურ შემფასებელს.

- დოქტორანტების მისაღები რაოდენობა

პედაგოგიკის დეპარტამენტს და სწავლების მეთოდოლოგია დეპარტამენტს ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, შეუძლია მიიღოს 10-12 დოქტორანტი.

საგნების ჩამონათვალი და კრედიტების განაწილება პედაგოგიკის მიმართულების დოქტორანტურისათვის

№	დისციპლინის დასახელება	საგნის სტატუსი	კრედიტი	I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV-VI სემესტრები
1	პედაგოგიკის თეორია	სავალდ.	10	5	5		
2	წყაროთმცოდნეობა პედაგოგიკაში	სავალდ.	10	5	5		
3	სწავლების თანამედროვე მეთოდები პედაგოგიკაში	სავალდ.	5	5			
4	განათლების ისტორია	სავალდ.	10		5	5	
5	ფსიქოლოგიის სპეციალური კურსი	სავალდ.	10	5	5		
6	ფილოსოფიის სპეციალური კურსი	სავალდ.	5			5	
7	უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა	სავალდ.	5			5	
8	მეცნიერული კვლევისა და ექსპერიმენტული მონაცემების სტატისტიკური დამუშავების თანამედროვე მეთოდები	სავალდ.	5			5	
9	სადოქტორო დისერტაცია	სავალდ.	120	10	10	10	90
	ჯამი		180	30	30	30	90

**საგნების ჩამონათვალი და კრედიტების განაწილება მათემატიკის სწავლების მეთოდის
მიმართულების დოქტორანტურისათვის**

№	დისციპლინის დასახელება	საგნის სტატუსი	კრედიტი	I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV-VI სემესტრები
1	უმადლესი მათემატიკის რჩეული თავები	სავალდ.	5	5			
2	სასკოლო მათემატიკის მეცნიერული საფუძვლების სპეციალური კურსი	სავალდ.	10	5	5		
3	მათემატიკის სწავლების მეთოდის სპეციალური კურსი	სავალდ.	15	5	5	5	
4	მათემატიკის და მათემატიკის პედა- გოგიკის ისტორია	სავალდ.	5			5	
5	პედაგოგიკის სპეციალური კურსი	სავალდ.	10	5	5		
6	ფილოსოფიის სპეციალური კურსი	სავალდ.	5			5	
7	განათლების ფსიქოლოგიის სპეცია- ლური კურსი	სავალდ.	5			5	
8	მეცნიერული კვლევისა და ექსპერი- მენტული მონაცემების სტატისტიკუ- რი დამუშავების თანამედროვე მეთო- დები	სავალდ.	5		5		
9	სადოქტორო დისერტაცია	სავალდ.	120	10	10	10	90
	ჯამი		180	30	30	30	90

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

- ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების მეთოდოლოგია

- ა) კომისიის თითოეული წევრი სადისერტაციო ნაშრომს აფასებს ზემოთმოყვანილი სისტემით;
- ბ) სადისერტაციო კომისიის წევრთა შეფასებებს შეესაბამებათ რიცხვები 1-დან 7-მდე, შესაბამისობის შემდეგი სქემით: 1-"სრულიად არადამაკმაყოფილებელი", 2-"არადამაკმაყოფილებელი", 3 -"დამაკმაყოფილებელი", 4 - "საშუალო", 5 - "კარგი", 6 - "ძალიან კარგი", 7 - "ფრიადი";
- გ) გამოითვლება აღნიშნული რიცხვების საშუალო არითმეტიკული E_0 ;
- დ) E განისაზღვრება, როგორც E_0 -თან უახლოესი ნატურალური რიცხვი (თუ E_0 არის $n,5$ სახის, მაშინ E განისაზღვრება $n+1$ -ის ტოლად);
- ე) საბოლოო შეფასება არის E რიცხვის შესაბამისი შეფასება ბ) პუნქტში მოცემული სქემის მიხედვით, თუ კომისიის წევრთა არანაკლებ $2/3$ -ისა ნაშრომს შეაფასებს დადებითად (ე.ი. არ შეაფასებს "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" - ით ან "არადამაკმაყოფილებელი" - ით);
- ვ) საბოლოო შეფასება არის „არადამაკმაყოფილებელი“, თუ კომისიის წევრთა $1/3$ - ზე მეტი ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და $E \geq 2$;
- ზ) საბოლოო შეფასება არის „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“, თუ კომისიის წევრთა $1/3$ მეტი ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და $E = 1$.